



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/165/2016

ნ.ც.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

10/06/2016

განმცხადებელი: ნ.ც. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

აღწერილობითი ნაწილი

2016 წლის 03 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №01/390 განცხადებით მომართა მოქალაქე ნ.ც.-მ. განმცხადებლის განმარტებით, შპს „ა“ (შემდგომში - „კომპანია“) სატელეფონო ნომრიდან - 2 15**** მის მფლობელობაში არსებულ ნომერზე - 571 *** **, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ახორციელებს სატელეფონო ზარებს და სთავაზობს წიგნების შეძენას. განმცხადებლის მითითებით, კომპანიას არაერთხელ მოსთხოვა (მათ შორის, კომპანიის ელ. ფოსტის მისამართზე - info@****.ge 2016 წლის 24 მარტს გაგზავნილი შეტყობინებით) ინფორმაცია მისი სატელეფონო ნომრის მოპოვების წყაროს შესახებ და ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, თუმცა უშედეგოდ.

განცხადებას ერთვოდა სატელეფონო ნომრის ამონაწერის ის ნაწილი, რომელზეც ასახულია ნომერზე - 571 *** ** ნომრიდან - 2 15**** 2016 წლის 03, 08 მარტს და 15 აპრილს შესული ზარები, ასევე ფოტომასალები, რომლებზეც ასახულია შპს „ა“-ს ვებგვერდზე - www.****.ge განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია („ქ. თბილისი, ****-ის №7, info@****.ge 2 15****“) და კომპანიის ელ. ფოსტის მისამართზე - info@****.ge 2016 წლის 24 მარტს განმცხადებლის მიერ ელ. ფოსტიდან - ****@yahoo.com გაგზავნილი შეტყობინება შემდეგი ტექსტით: „*მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, თქვენი კომპანია მაინც აგრძელებს ჩემ ნომერზე: 571 *** ** სატელეფონო ზარების განხორციელებასა და სხვადასხვა წიგნების შემოთავაზებას. გთხოვთ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადებში მაცნობოთ ჩემი ნომრის მოპოვების წყაროს შესახებ და ასევე შეწყვიტოთ აღნიშნულ ნომერზე პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება*“.

2016 წლის 05 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/116/2016 გადაწყვეტილებით ნ.ც.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის (შემდგომში - „აპარატი“) 2016 წლის 06 მაისის №746/01 და 23 მაისის №831/01 წერილებით, საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით შპს „ა“-ს მოეთხოვა ინფორმაციის და მტკიცებულებების (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა.

2016 წლის 16 მაისის №16/05-05 (რეგისტრირებული: 17.05.2016; №01/424) და 25 მაისის №16/05-08 (რეგისტრირებული: 27.05.2016; №01/464) საპასუხო წერილებით კომპანიამ განმარტა შემდეგი:

- შპს „ა“ ახორციელებს სარეკლამო ხასიათის სატელეფონო ზარებს ნომრიდან - 2 15****;
- 2016 წლის 03, 08 მარტს და 15 აპრილს ნამდვილად განხორციელდა პროდუქციის შეთავაზების შემცველი შინაარსის სატელეფონო ზარები ნომერზე - 571 *** **;
- შპს „ა“-ს სატელეფონო ნომრის - 571 *** ** მფლობელთან საუბრისას არ მიუღია მოთხოვნა შეწყვეტილიყო მისი სატელეფონო ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენება;
- კომპანია მასთან დასაქმებულ ყველა ოპერატორს ავალდებულებს, მომხმარებლებს ნათლად განუმარტონ სატელეფონო ზარების შემდგომ მიღებაზე უარის თქმის უფლების შესახებ. მომხმარებლის მიერ სატელეფონო ზარების შემდგომ მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წაშალოს ნომერი აქტიური მომხმარებლის მონაცემთა ბაზიდან, რაც გულისხმობს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტას;
- აპარატის №746/01 წერილის მიღებისთანავე, 2016 წლის 13 მაისს კომპანიამ სატელეფონო ნომერი - 571 *** ** ამოიღო შესაბამისი მონაცემთა ბაზიდან და შეწყვიტა მისი დამუშავება;
- www.****.ge წარმოადგენს შპს „ა“-ს ვებგვერდს, ხოლო info@****.ge - მის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- კომპანიამ ნამდვილად მიიღო ნ.ც.-ს 2016 წლის 24 მარტის შეტყობინება ელ. ფოსტაზე, თუმცა დიდი რაოდენობის შეტყობინებების მიღების გამო, დროულად ვერ განხორციელდა ****@yahoo.com ელ. ფოსტით მიღებული მოთხოვნის გაცნობა და მასზე რეაგირება. შპს „ა“ შეტყობინების შინაარსს გაეცნო მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 23 მაისის №831/01 წერილის მიღების შემდგომ.

ზემოაღნიშნულ წერილობით განმარტებებთან ერთად კომპანიას რაიმე სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

2016 წლის 01 ივნისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გაიმართა №01/390 განცხადებასთან დაკავშირებული ზეპირი განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ შპს „ა“-ს წარმომადგენლები. ზეპირი განხილვის ფარგლებში კომპანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ 2016 წლის 24 მარტს ნამდვილად მიიღო ნ.ც.-ს შეტყობინება, თუმცა ვერ მოახერხა მისი შინაარსის დროულად გაცნობა და შესაბამისად, არ შეუწყვეტია მისი სატელეფონო ნომრის დამუშავება. კომპანიას ასევე არ უცნობებია სუბიექტისთვის მისი მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ. დამატებით კომპანიამ მიუთითა, რომ ჩაატარა სამსახურებრივი მოკვლევა, გამოკითხა განმცხადებელთან უშუალოდ მოსაუბრე ოპერატორები და დაადგინა, რომ ნ.ც.-ს მათთან სატელეფონო საუბრისას არ მოუთხოვია მისი სატელეფონო ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, შპს „ა“-მ მიუთითა, რომ ვინაიდან ნ.ც.-ს განცხადებას განიხილავდა აპარატი, ჩათვალა, რომ მონაცემთა სუბიექტს ზეპირ განხილვაზე მიაწვდიდა მოთხოვნილ ინფორმაციას.

2016 წლის 01 ივნისს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000172 და №0000173 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებსაც ხელმოწერით დაეთანხმა კომპანიის წარმომადგენელი.

2016 წლის 03 ივნისს განმცხადებელმა დამატებით წარმოადგინა მისი სატელეფონო ნომრის ამონაწერის ის ნაწილი, საიდანაც დგინდება, რომ 2016 წლის 21 აპრილს და 05 მაისს სატელეფონო ნომრიდან - 2 15**** განმცხადებლის სატელეფონო ნომერზე კვლავ შევიდა ზარი.

2016 წლის 03 ივნისს შპს „ა“-მ აპარატს დამატებით წარმოუდგინა იმ ოპერატორების ხელწერილები, რომლებიც ესაუბრნენ განმცხადებელს და ასევე, ფოტომასალა. ხელწერილებში მითითებულია, რომ ნ.ც.-ს ამა წლის 03, 08 მარტს და 15 აპრილს სატელეფონო საუბრისას არ განუცხადებია კომპანიის სატელეფონო ზარების შემდგომ მიღებაზე უარი. წარმოდგენილ ფოტომასალაზე კი, ასახულია 2016 წლის 02 ივნისს კომპანიის ელ. ფოსტიდან განმცხადებლისათვის გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, რომლითაც განმცხადებელს მიეწოდა ინფორმაცია მისი მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ: კომპანიის განმარტებით, მისი სატელეფონო ნომერი მოპოვებულ იქნა

ვებგვერდიდან - www.regmarket.ge. წერილს ერთვოდა აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტოსურათიც.

სამოტივაციო ნაწილი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ განმცხადებლის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების კანონიერებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი სატელეფონო ნომრის - 571 *** ** ამონაწერების, შპს „ა“-ს 2016 წლის 16 მაისის №16/05-05 (რეგისტრირებული: 17.05.2016; №01/424) წერილის, ასევე, კომპანიის ოპერატორების 2016 წლის 13 მაისის ხელწერილებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №0000173 ოქმის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ შპს „ა“-მ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის 2016 წლის 03, 08 მარტს, 15, 21 აპრილს და 05 მაისს დაამუშავა ნ.ც.-ს სატელეფონო ნომერი, კერძოდ, განახორციელა სარეკლამო ხასიათის სატელეფონო ზარი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“, „დ“, „ვ“, „ი“ „უ“ პუნქტების და მე-8 მუხლის შესაბამისად, სახეზეა მონაცემთა სუბიექტის ნ.ც.-ს პერსონალური მონაცემის (სატელეფონო ნომერი) დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, მონაცემთა დამმუშავებლის, შპს „ა“-ს მიერ.

პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ წესს. კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი კი უთითებს, რომ მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება ან/და უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

განმცხადებლის მითითებით, მან 2016 წლის 03, 08 მარტს და 15 აპრილს სატელეფონო საუბრისას განაცხადა უარი მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შემდგომ დამუშავებაზე, მიუხედავად ამისა, კომპანია კვლავ უკავშირდებოდა იმავე მიზნით. ამის გამო, 2016 წლის 24 მარტს კომპანიის ელ. ფოსტის მისამართზე ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით მან კვლავ მოითხოვა მისი მონაცემების მოპოვების გზების

შესახებ ინფორმაცია და ასევე მათი დამუშავების შეწყვეტა. კომპანია უარყოფს სატელეფონო საუბრისას განმცხადებლის მიერ მისი სატელეფონო ნომრის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის ფაქტს და ამის დამადასტურებლად მიუთითებს შესაბამისი თანამშრომლების წერილობით ახსნა-განმარტებებზე. ამდენად, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ცალსახად არ დგინდება განმცხადებლის მიერ 2016 წლის 03, 08 მარტს და 15 აპრილს სატელეფონო საუბრისას მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის ფაქტი. თუმცა 2016 წლის 24 მარტს კომპანიის ელ. ფოსტის მისამართზე განმცხადებლის მიერ გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინების ამსახველი ფოტომასალითა და შპს „ა“-ს 2016 წლის 25 მაისის №16/05-08 წერილის საფუძველზე ცალსახად დასტურდება, რომ ნ.ც.-მ 2016 წლის 24 მარტს ელ. ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით მოსთხოვა შპს „ა“-ს შეწყვეტა მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენება. მიუხედავად ამისა, შპს „ა“-მ 2016 წლის 15, 21 აპრილს და 05 მაისს, შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ, კვლავ განახორციელა მის სატელეფონო ნომერზე სარეკლამო ხასიათის სატელეფონო ზარები, რაც წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას.

კომპანიის არგუმენტი, რომ ელ. ფოსტის მისამართზე დიდი რაოდენობით შემომავალი შეტყობინებების გამო ვერ შეიტყო განმცხადებლის მოთხოვნის შესახებ, ვერ იქნება მიჩნეული პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების კანონით დადგენილი წესის დარღვევის გამამართლებელ გარემოებად. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი იურიდიულ შედეგის (მონაცემების გამოყენების შეწყვეტა) დადგომას უკავშირებს მონაცემთა სუბიექტის ნების (შეწყდეს მისი მონაცემების დამუშავება) გამოვლენას და ადრესატის მიერ მის მიღებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ა“-ს მიერ ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ნ.ც.-ს 2016 წლის 24 მარტის და შპს „ა“-ს 2016 წლის 02 ივნისის ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებების ამსახველი ფოტომასალის, შპს „ა“-ს 2016 წლის 25 მაისის №16/05-08 (რეგისტრირებული: 27.05.2016; №01/464) წერილისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №0000172 ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ ნ.ც.-მ 2016 წლის 24 მარტს შპს „ა“-სგან მოითხოვა ინფორმაცია მისი მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ, რაზეც შპს „ა“-მ საპასუხო წერილი მხოლოდ 2016 წლის 02 ივნისს გააგზავნა და მიუთითა, რომ განმცხადებლის სატელეფონო ნომერი მოიპოვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან (ვებგვერდი - www.regmarket.ge).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა გზით შეგროვდა მონაცემები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას; მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. განსახილველ შემთხვევაში, კომპანიამ მოთხოვნის მიღებიდან (2016 წლის 24 მარტი) ორი თვისა და ცხრა დღის შემდეგ, 2016 წლის 02 ივნისს მიაწოდა ინფორმაცია განმცხადებელს.

ამდენად, შპს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილი მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევას, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. აღნიშნული კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის 36-ე მუხლის დანაწესს. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა

რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-8, 21-ე, 27-ე, 34-ე, 39-ე, 47-ე და 50-ე, 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) მის.: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ****-ს ქ., №**-*, სართული *, ბინა №***) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე და 50-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №0000173 და №0000172;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;
3. დასრულდეს მოქალაქე ნ.გ.-ს 2016 წლის 03 მაისის №01/390 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
4. განმცხადებელს და შპს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალღანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი